შპს თბილისის ექსპერტიზის ბიურო	ინსპექტირების ანგარიში **TEB-SP08-RP-304**	

მის.: ქ. თბილისი, ლვოვის ქ. N2 ტელ.: (+995) 577 02 78 23

ინსპექტირების პერიოდი: 16/10/2025-27/10/2025 გაცემის თარიღი: 27/10/2025

ინსპექტირების ანგარიში

დამკვეთი: შპს აბანო N7 (ს/ნ 202451364)

ობიექტის იდენტიფიკაცია: ქ. თბილისი, იოსებ გრიშაშვილის ქ. N7, (საკადასტრო კოდი 01.18.04.019.036)

მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა

შემსრულებელი: შპს თბილისის ექსპერტიზის ბიურო (ს/ნ 402174099)

ინსპექტირებას სფერო:ინსპექტირების სფერო: ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების) შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო, სამუშაოების ინსპექტირება

ინსპექტორი: ნინო გელაძე

განაცხადის №TEB-AN-304

ხელშეკრულების №TEB-ST-304

ინსპექტირების წინაშე დასმული საკითხი: ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობები) ინსპექტირება, (ვიზუალური და ინსტრუმენტალური დათვალიერებით) ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, იოსებ გრიშაშვილის ქ. N7, (საკადასტრო კოდი 01.18.04.019.036) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა



სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0380

ადასტურებს, რომ

შპს „თბილისის ექსპერტიზის ბიურო“-ს

A- ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, დავით გამრეკელის N19

გაცემულია 13 სექტემბერი 2023 წელი

ძალაშია 13 სექტემბერი 2027 წელი

იხ. სფერო და სტატუსი

გენერალური დირექტორი

მისამართი: საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა www.gac.gov.ge

გაფრთხილება

შპს თბილისის ექსპერტიზის ბიუროს პერსონალი მოქმედებს სსტ ისო 17020:2012/2013 სტანდარტის საფუძველზე შედგენილი ინსპექტირების ორგანოს მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის დეკლარაციების შესაბამისად.

გაფრთხილება ინსპექტორების და ტექნიკური მენეჯერების უფლება-მოვალეობებზე და პასუხისმგებლობაზე

შპს თბილისის ექსპერტიზის ბიუროს, A ტიპის ინსპექტირების ორგანოს ინსპექტორები და ტექნიკური მენეჯერები გაცნობილნი ვართ ინსპექტორის/ტექნიკური მენეჯერის უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი ინსტრუქციით და გაფრთხილებულნი ვართ ვალდებულებაზე ინსპექტირების ჯეროვნად და მიუკერძოებლად ჩატარების შესახებ

გაფრთხილება ინტერესთა კონფლიქტის და კონფიდენციალურობის შესახებ

ინსპექტორები და ტექნიკური მენეჯერები ინსპექტირების დაწყებამდე წერილობით გაფრთხილებულნი ვართ ჩვენი ვალდებულების შესახებ, განვაცხადოთ ნებისმიერი გარემოებების თაობაზე, რომლებიც გამოვლინდებოდა ინსპექტირების ჩატარების ნებისმიერ ეტაპზე, რაც წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს და საფრთხეს შეუქმნის ინსპექტირების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას. ასეთი გარემოებები დადგენილი არ ყოფილა.

ინსპექტორები და ტექნიკური მენეჯერები ასევე გაფრთხილებულნი ვართ წერილობით ინსპექტირების ჩატარების

დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

ინსპექტორი: ნინო გელაძე



წარმოდგენილი მასალები

1. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
2. პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
3. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი ანგარიშით.

გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП-ნაწილი 1);
2. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП-ნაწილი 2);
3. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП-ნაწილი 3);
4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71);
5. ინსპექტირების ორგანოს პროცედურა TEB-SP08.

კვლევითი ნაწილი

შპს თბილისის ექსპერტიზის ბიუროს მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს მომართა შპს აბანო N7-მა (ს/ნ 202451364) ქ. თბილისი, იოსებ გრიშაშვილის ქ. N7, (საკადასტრო კოდი 01.18.04.019.036) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის მდგრადობის და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება/ინსპექტირების თაობაზე, ხელშეკრულება #TEB-ST-304 -ის ფარგლებში.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, იოსებ გრიშაშვილის ქ. N7-ში, (საკადასტრო კოდი 01.18.04.019.036) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტი, ასევე საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით, მეორე სართულის ტერასაზე არსებული ლითონის მილკვადრატებისაგან შედგენილი მსუბუქი გადახურვა ექვემდებარება დემონტაჟს, და მის ნაცვლად ეწყობა ლითონის, ასევე მსუბუქი კონსტრუქციებისაგან შედგენილი გადახურვა, განსხვავებული კონფიგურაციით.

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს განხორციელდა ობიექტზე ვიზიტი, ინსპექტირების დროს ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, იოსებ გრიშაშვილის ქ. N7-ში, (საკადასტრო კოდი 01.18.04.019.036) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა. მზიდი კონსტრუქციების კვლევა განხორციელდა ადგილზე ვიზუალურ-ტექნიკური დათვალიერებით და ინსტრუმენტალური შემოწმებით (ურღვევი მეთოდით).

შენობის საძირკვლის ფუძედ შერჩეულია I სგე გამოფიტული ნაპრალოვანი ტუფოქვიშა.

უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შენობა ეფუძნება **I სგე**-ზე, რკინაბეტონის ლენტურ საძირკველს.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით (პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა), საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 9 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას, A=0,17 უგანზომილებო კოეფიციენტით. კარკასში ძირითადი ელემენტებია: ფოლადის ვერტიკალური ელემენტები (სვეტები, კედლები), ბეტონი B40. ჰორიზონტალური ელემენტები (რიგელები, გადახურვის ფილები), ბეტონი B40.

გარე არმატურამდე სუფთა ბეტონის დამცავი შრე 3-საათიანი ცეცხლგამძლეობის კლასისათვის, ACI/TMS 216.1M-14(19)-ის მიხედვით არის შემდეგი:

რკინაბეტონის ელემენტის ტიპი	ნომინალური დამცავი შრე (მმ)
ლენტური საძირკველი (R180)	50
გადახურვის ფილები (R180)	25
კოჭები	40
სვეტები (R180)	50
კედლები (R180)	50
კიბეები	25

ყველა არმატურა შეესაბამება EN 10080 სტანდარტს. კლასიფიცირებულია, როგორც Crade B500B ცხლად გალამინული ფოლადი, მინიმალური დნობადობის სიმტკიცით Fy= 500 MPa, შესაბამისობაში Eurocode 2-ის (EN 19920101) მოთხოვნებთან.

ხელმისაწვდომი არმატურის დიამეტრებია: 8 მმ, 10 მმ, 12 მმ, 14 მმ, 16 მმ, 20 მმ, 22 მმ, 25 მმ, 28 მმ, 32 მმ.

ინსპექტირების დროს ვითვალისწინებთ კონსტრუქციების არამრღვევი მეთოდით კვლევის ფოტოფიქსაციას და მიღებული შედეგების ანალიზს.

	კონსტრუქციის დასახელება	ვერტი-კალური	ჰორიზონ-ტალური	ანათვალი	მ-ზე	კგძ/სმ^2	ბეტონის მარკა
1	2	3	4	5	6	7	8
1	ფილა	+		56	600	600	B45
2	ფილა	+		52	600	600	B45
3	ფილა	+		54	600	600	B45
4	ფილა	+		52	600	600	B45
5	ფილა	+		52	600	600	B45
6	ფილა	+		54	600	600	B45
7	ფილა	+		56	600	600	B45
8	ფილა	+		52	600	600	B45

9	ფილა	+		52	600	600	B45
10	ფილა	+		52	600	600	B45
11	საძირკველი		+	40	400	400	B25
12	საძირკველი		+	40	400	400	B25
13	საძირკველი		+	40	400	400	B25
14	საძირკველი		+	40	400	400	B25
15	საძირკველი		+	40	400	400	B25

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი ობიექტი არის კონსტრუქციული გადაწყვეტით კარკასული ტიპის, რომლის ძირითადი მზიდი ელემენტებია: რკინა-ბეტონის სვეტები, რიგელები, გადახურვის ფილები და ფოლადის ელემენტები.

სარეკონსტრუქციო II სართულის არამრღვევი მეთოდით ბეტონის მარკიანობის განსაზღვრა.

ცხრილში მოყვანილ მნიშვნელობებს ვაზუსტებთ ვარიაციის კოეფიციენტის საშუალებით, რომელიც მიიღება ანათვლების საშუალო კვადრატული გადახრის მიხედვით:

$$H_{\text{საშ}} = \frac{\sum_{i=1}^{n} H_i}{n} = 550;$$

$$S_{\text{ცდ}} = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n} (H_{\text{საშ}} - H_i)^2}{n-1}} = 14,$$

$$V = 1,2 \frac{S_{\text{ცდ}}}{H_{\text{საშ}}} \cdot 100 = 21,12,$$

სადაც $S_{\text{ცდ}}$ არის გაზომვის შედეგების საშუალო კვადრატული გადახრა;

$H_{\text{საშ}}$ – არმატურამდე არსებული ბეტონის შრის სისქის ცვალებადობის საშუალო არითმეტიკული;

H_i – ყოველ კონკრეტულ ზონაში ბეტონის შრის სისქე დაარმატურებამდე.

ბეტონის სიმტკიცის მახასიათებელი დავადგინეთ ნორმატიული დოკუმენტის ГОСТ 22690-88 (არამრღვევი მეთოდით) და EN 12504-2 ეროვნული სტანდარტი (ურღვევი მეთოდი).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისში, იოსებ გრიშაშვილის ქ. N7-ში, (საკადასტრო კოდი 01.18.04.019.036) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის არსებული მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა განხორციელდა ვიზუალური შემოწმებით და კონტროლის ურღვევი მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, გამოკვლეული იქნა მონოლითური რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციები, II სართულის ფილა, რკინაბეტონის კედელი.

ვიზუალურ-ტექნიკური და ინსტრუმენტალური კვლევის შედეგების მიხედვით, შენობა მდგრადია და პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს მასზე უარყოფით ზეგავლენას და შესაბამისად საფრთხეს არ შეუქმნის შენობის მდგრადობას.

დასკვნა

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, იოსებ გრიშაშვილის ქ. N7-ში, (საკადასტრო კოდი 01.18.04.019.036) მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

დანართი N1 – ფოტომასალა.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა


ინსპექტორი: ნინო გელაძე

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა

ინსპექტირების ორგანოს დირექტორი: ნინო დეკანოიძე

დანართი N1










16
10.2025
at 21:00






GG GROUP
MARANI



